# საქართველოს ორგანული კანონი

# საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესახებ

მუხლი 1

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად დადგენილ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკა (თან ერთვის).

მუხლი 2 *(18.09.2013. N1133) ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)*

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ოფიციალური შესრულების წესი განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის დადგენილებით.

მუხლი 3

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1990 წლის 14 ნოემბრის საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესახებ“.

მუხლი $3^{1}$ (*18.09.2013. N1133) ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)*

1. საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქართველოს პარლამენტის დადგენილების მიღება.
2. ამ კანონის საფუძველზე გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ინარჩუნებს იურიდიულ ძალას საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დადგენილების ამოქმედებამდე.

მუხლი 4

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*

თბილისი,
2004 წლის 21 მაისი.
N 72 -Iს

**საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი**

„თავისუფლება“

ლექსი დავით მაღრაძის

ჩემი ხატია სამშობლო,

სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,

თავისუფლებას დიდება.

# თავისუფლება

მუსიკა ზაქარია ფალიაშვილის
ჰიმნად დაამუშავა იოსებ კეჭაყმაძე
ლექსი დავით მაღრაძის




გა - ნა თე-ბუ-ლი მთა ბა - რი წილ - ნა - ყა - რი - ა ღმერთ -
გა - ნა თე-ბუ-ლი მთა ბა - რი წილ - ნა - ყა - რი - ა ღმერთ-
თა - ნა, თა - ვი - სუფ - ლე - ბა დღეს ჩვე - ნი
თა - ნა, თა - ვი - სუფ - ლე - ბა დღეს ჩვე - ნი


მო - მა-ვალს უმ-ღერს დი - დე - ბას,
ცის - კრის ვარსკვლავი ა -
მო - მა-ვალს უმ-ღერს დი - დე - ბას,
ვის - კრის ვარსკვლავი ა -
მო - დის, ა - მო-დის და ორ ზღვას შუ - ა ბრწყინ-დე - ბა და
მო - დის, ა - მო-დის და ორ ზღვას შუ - ა ბრწყინ-დე - ბა და


დი - დე - ბა თა - ვი-სუფ- ლე - ბას, თა - ვი -სუფ- ლე - ბას დი - დე -
დი - დე - ბა თა - ვი -სუფ-ლე - ბას, თა - ვი- სუფ- ლე - ბას დი - დე -
ff
ბა.
ბა.